საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2670 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

მესტიის აეროპორტის დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქვეყნისთვის განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციისა და გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, გამარტივებული წესით გასცეს მესტიის აეროპორტის დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მშენებლობის ნებართვა.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი